## და მაინც საფეხბურთო რომანტიკა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის `დინამოს" სტადიონი. 1 ნოემბერი.

`დინამო" (თბილისი) _ `ჰერტა" (დასავლეთ ბერლინი) 1:0 (0:0).

`დინამო": გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (სულაქველიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

`ჰერტა": ნიგბური, ზიდატი, ბრიუკი, დიტენბახი, ვაინერი, ნიუსინგი, რასმუსენი (კრემერი), ბეერი, გრანიტცა, ჰერსდორფი, მილევსკი.

მსაჯი კ. მატსონი (ფინეთი).

გოლი გატიანა რ. შენგელიამ (57-ე წ.).

გაფრთხილებული არიან გ. მაჩაიძე, დიტენბახი, ვაინერი.

იშვიათად, რომ ერთმა მატჩმა გამოკვეთილად დახატოს საფეხბურთო კოლექტივის სახე. ნათლად და თითქმის ამომწურავად გასცეს პასუხი არა ერთსა და ორ კითხვას. ძნელად თუ მოხდება, რომ ოთხმოცდაათწუთიანი ორთაბრძოლა გუნდის მიერ გავლილი კარგა მოზრდილი გზის შესაჯამებლად და მომავალი გეგმების მოსანიშნად, საერთოდ, სერიოზული ფიქრის საგნად იქცეს.

იშვიათად, რომ ერთადერთ მატჩს ამოდენა პატივი ხვდეს, მაგრამ რატომღაც მგონია _ სწორედ ამგვარი ტვირთი იდო კისრად `დინამოსა" და `ჰერტას" მეორე, თბილისურმა შეხვედრამ. ეს ყველაფერი იმთავითვე განაპირობა შექმნილმა სიტუაციამ: მატჩი _ პრინციპული, ამოცანა _ კონკრეტულზე კონკრეტული. უთუოდ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჩვენს გუნდს იმ დღეს სავსებით განსხვავებული ხელწერისა და საფეხბურთო იდეების მიმდევარი მეტოქე ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მაინც აშკარა გახდა, რომ სამი წელიწადი აღმავლობის გზაზე მდგომი გუნდი კიდევ ერთ ზღუდეს მიადგა, ზღვარს, რომლის იქით, უეჭველია, სწორედ ის ფეხბურთი იწყება, ხვალ თუ არა ზეგ მაინც საჩვენოდ რომ უნდა იქცეს. ასეთია ქართული ფეხბურთის თაყვანისმცემელთა სურვილი. ამას მოითხოვს განვითარების მარტივი კანონი.

ორბურთიანი ვალი მართლაც ძნელად გასასტუმრებელია თუნდაც აშკარად სუსტ მეტოქესთან. `ჰერტა" კი არც ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება და არც ის გუნდია, წამით მოდუნების ან გრძნობების აყოლის უფლება მისცეს თავს. თუმცაღა, ისედაც ცნობილი ფაქტია, რომ ეს თვისებები უკლებლივ მოეძებნება ბუნდესლიგის პირველობაზე მოთამაშე ყველა კოლექტივს. მატჩის პირველი წუთები. ერთადერთი გამოსავალი შეტევაა და სწორედ ასე იქცევა `დინამოც". `ჰერტა" საკუთარ ნაჭუჭში იკეტება. მშვიდად, ფაცი-ფუცის გარეშე იგერიებს მასპინძელთა იერისს.

მთელი პირველი ტაიმი გაგრძელდება ეს შეტევა, 45 წუთის განმავლობაში ბურთი იშვიათად მოსცილდება სტუმართა საჯარიმოს, საკმაოდ იქნება საგოლე მომენტებიც, გუნდები ისე წავლენ შესვენებაზე, რომ ტაბლოზე გულშემატკივართათვის ერთობ უსიამო ნულები იქნება დანთებული.

პირველი წუთებიდანვე ნათელი ხდება გერმანელ ფეხბურთელთა სათამაშო სქემა თუ ტაქტიკა, ასე საგულდაგულოდ რომ დამალა მწვრთნელმა კლიოტცერმა. დინამოელთა მთელი თავდასხმა და ნახევარდაცვა პერსონალურ მეურვეობაში მოექცა, უბის წიგნაკში პირველი ჩანაწერი ჩნდება: გუცაევს _ #4, შენგელიას _#2, ყიფიანს _ #5, დარასელიას _ 8, მანუჩარ მაჩაიძეს _ #7, ქორიძეს _ #6. ტკბილად მახსენდება ამგვარი საქმიანობით ცნობილი `ინტერნაციონალეც" კი. მერე რამდენჯერმე შევამოწმე ეს ჩანაწერი _ არავითარი ცვლილება; წყვილები

განუშორებლად მოძრაობენ მინდორზე. უთუოდ მართალი იყო კლიოტცერი, თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე რომ თქვა სქემებზე ნუ ვილაპარაკებთო.

ამ ------- პრესინგის პირობებშიც კი თბილისელები საკმაოდ სახიფათოდ უახლოვდებიან ნიგბურის კარს. ხიფათის თავიდან ასაცილებლად გერმანელები არც აკრძალულ ილეთებს თაკილობენ. სამწუხაროდ, შეხვედრის არბიტრი მატსონი ასეთ შემთხვევებში გაუგებარ ლიბერალობას იჩენს სტუმართა მიმართ.

მე-19 წუთი. მარჯვენა ფლანგიდან მცველებს გაცილებული გუცაევი ზედ მეკარის საჯარიმოსთან შეაჩერა სარმამ. თამაში გაგრძელდა.

არც თუ იშვიათად ერთადერთი სასტვენი მოუცილებელ დაღს ასვამს მატჩის მსვლელობასაც და მის შედეგსაც. ბუნებრივია, ახლა კაცი ვერ იტყვის, როგორ წარიმართებოდა შემდგომი ორთაბრძოლა, მსაჯს ის, ვფიქრობ, უდავო პენალტი რომ `შეენიშნა", ვერავინ იტყვის, რომ `დყნამო" სასურველ მიზანს მიაღწევდა, მაგრამ ერთი ცხადია: პირველ ტაიმშივე გატანილი გოლი თბილისელებს ბევრად გაუადვილებდა ამოცანას.

თუმცა, თავი დავანებოთ მკითხაობას, რადგან არდანიშნულ პენალტს არც ურტყამენ და ისევ სჯობს მაშინვე დაივიწყო კაცმა, დაივიწყა `დინამომაც" და სწორადაც მოიქცა.

23-ე წუთი. ყიფიანის ლამაზი თავური დარტყმა.

32-ე წუთი. სტუმართა მცველი ხელით თამაშობს.

მე-40 წუთი. ყიფიანის მიერ კარისკენ ჩაწოდებულ ბურთს ფეხის დახვედრაღა აკლდა.

45-ე წუთი. დარასელიას ძლიერად დარტყმული ბურთი ოდნავ სცდება `ჰერტას" კარს.

მატჩის პირველ ნახევარს თბილისელებმა დიდძალი ენერგია შეალიეს და ფაქტიურად ხელცარიელნი წავიდნენ შესვენებაზე. გუნდს, რა თქმა უნდა, ხელი არ აუღია შემდგომ ბრძოლაზე, მაგრამ განახევრებული იმედის ფსიქოლოგიური კვალი და ფიზიკური დაღლილობა უკვე შესამჩნევად იგრძნობოდა მეორე ტაიმში, განსაკუთრებით კი 57-ე წუთამდე, სანამ კანთელაძის გადაწოდების შემდეგ შენგელიამ, ზურგით რომ იდგა მეტოქის კარისკენ, ზუსტი დარტყმით ბოლოსდაბოლოს გასაღები არ მოარგო `ჰერტას" კარს _ 1:0. იმედი საოცარი რამაა, და თბილისელებმაც გამონახეს საიმედო ძალა, რომ კვლავ გაეგრძელებინათ იერიში. `დინამო" ზედიზედ აწოდებს კუთხურებს, სტუმართა საჯარიმოში ერთთავად ტრიალებს გოლის აჩრდილი, მაგრამ ვერ იქნა და ვერა... მერე `ჰერტამაც" გამოიდო --------- (პირველყოვლისა ფიზიკური გამძლეობის ხარჯზე) და...

დამახსომდა ბოლო სცენა, დასავლეთბერლინელი ფეხბურთელები დაუფარავად გამოხატავდნენ სიხარულს _ საბოლოო გამარჯვება იოლად არ მოსულა.

ამ მატჩმა მართლაც გააჩინა უამრავი საფიქრალი. უეჭველია, რომ თბილისის `დინამო" კიდევ ერთ ზღუდეს მიადგა, თუმცა მოვყვეთ თავიდან.

ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი კაციც კი ვერ უარყოფს ჩვენი გუნდის სამწლიან აღმასვლას, ამას არც სიტყვების კორიანტელი სჭირდება, არც ტაქტიკისა და საფეხბურთო თეორიაში ქექვა _ გუნდი ასეთი და ასეთი გახდა, ამგვარ და ამნაირ ფეხბურთს თამაშობსო. ფაქტები თვალწინ, ყველას დასანახავად აწყვია. ეს ფაქტები კოლექტივის მიერ ნაჩვენები შედეგია, რომელიც ითვლება კიდეც შეფასების უტყუარ საშუალებად.

წლევანდელ საფეხბურთო სეზონში დინამოელებს ორად ორი მატჩიღა დარჩათ სათამაშო. თავი დავანებოთ ამ მატჩების პროგნოზებს, მთავარია გუნდმა მოიპოვოს

და ალბათ მოიპოვებს კიდეც იმ ერთადერთ საჩემპიონო ქულას. მაგრამ ამ ორი მატჩის გარეშეც უკვე შეიძლებოდა საუბარი `დინამო”-78-ზე. უკვე შეიძლება საუბარი ხვალინდელ დღეზე.

ყველას კარგად გვახსოვს სამი წლის წინანდელი კოლექტივი, ვერც საფეხბურთო ძალით რომ დაიკვეხნიდა და ბუნებრივია, არც შედეგი ჰქონდა სახარბიელო. გუნდი უფრო ბრჭყვიალა ბუშტს წააგავდა _ ლამაზად თამაშობდა, ეს იყო და ეს. ახალმა მწვრთნელმა იმით დაიწყო, რომ `დინამოს” არაფრის მაქნისი ბრჭყვაილება ჩამოაცალა. გუნდი შეიკრა, საქმიანი გახდა. მართალია, დაიკარგა ქართული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ზოგი თვისება თუ შტრიხი, მაგრამ იმ ხანებში ალბათ ასეც იყო საჭირო. მთელი შარშანდელი სეზონი `დინამოს” ამ ახალი, უნდა ითქვას, რომ უჩვეულო ტანისამოსის მორგება-შეჩვევას დასჭირდა. ხმებიც კი გაისმა _ გუნდი მეტისმეტად რაციონალურ, ცივ, ქართული ხასიათისთვის შეუფერებელ ფეხბურთს თამაშობსო. ხმები ხმებად დარჩა, მწვრთნელებმა კი თავისი საქმე განაგრძეს.

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ წლეულს კოლექტივმა ორი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. შარშანდელი სეზონის გაკვეთილების გათვალისწინებით შედარებით თანაბრად განაწილდა ძალები _ თბილისის `დინამო” თანდათან, მატჩიდან მატჩამდე უნათებდა და ფინიშზე ფერდაკარგული არ მოსულა. ევროპული ტურნირების ვადების ფონზე ამ მიმართებით ალბათ კიდევ არის გადასაჭრელი პრობლემები, მაგრამ ყველაფრით იგრძნობა, რომ ამასაც მოევლება. უფრო საგულისხმო იყო მეორე ნაბიჯი: `დინამოს” ხელმძღვანელობამ ახლა უკვე შესაძლებლად ჩათვალა და გუნდს ქართული ფეხბურთისთვის ორგანული ფერებიც ნელ-ნელა დაუბრუნა. ჩამოყალიბდა ერთგვარი მოდელი, რა თქმა უნდა, სრულყოფილი არა, მაგრამ მაინც მოდელი, თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებიც და ჩვენი ტრადიციაც რომ გააერთიანა.

აი ამ დაუხვეწავი სახით დაუდგა წინ დასავლეთ გერმანული ფეხბურთის ტიპის წარმომადგენელს ჩვენი გუნდი, დაიდგა და დამარცხდა. გაიმარჯვა ეკონომიურმა, უაღრესად პრაქტიკულმა სტრატეგიამ, ტაქტიკამ და სტილმა ერთად აღებულმა. აქ უნებურად ჩნდება კითხვა. რომელი? რაციონალიზმს შეზავებული რომანტიზმი თუ მხოლოდ რაციონალური, უაღრესად პრაქტიკული? და მაინც პირველი, რადგან ის ფეხბურთი, `ჰერტა” და მისი მსგავსნი რომ თამაშობენ, დიდი სიმაღლეების დასაპყრობად საკმარისი არ არის (საბუთი? თუნდაც გფრ-ის ნაკრების უფერული თამაში და ასეთივე უფერული შედეგი უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში), და მაინც რომანტიზმი; რადგან ცივი გონება ყოველთვის უძლური იყო და იქნება საბოლოო სიტყვა თქვას იქ, სადაც შეუპოვრობაზე ხსენებული ოცნებაა.

ი. ბერიაშვილი
“ ლელო”, 4 ნოემბერი, 1978